

სამოქალაქო

ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი

გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი



საზოგადოება

საგაზეთო ჩანართი №16

საგაზეთო ჩანართი „სამოქალაქო საზოგადოება“, მომზადებულია პროექტის „თვითმმართველობის ეფექტურობის გაძლიერება მოსახლეობის ინფორმირების ახალი მეთოდების გამოყენებით“ ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი“ „გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან“ პარტნიორობით.

პროექტის მიზანია ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება, მოსახლეობის ინფორმირების ახალი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

პროექტის ფარგლებში, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში შეიქმნა თვითმმართველობის საქმიანობით დაინტერესებული პირების მონაცემთა ბაზა.

სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, კომისიების თუ საკრებულოს სხდომების დანიშნებიდან 1-2 დღით ადრე, საკრებულო ახდენს შესაბამისი ინტერესთა ჯგუფებისათვის მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) დაგზავნას, სხდომების დღის წესრიგის შესახებ, თარიღის, დროის, ადგილის მითითებით.

მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირება შეგიძლიათ ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებზე: <http://www.lanchkhuti.org.ge/>; <http://chokhatauri.ge/>

პრობლემის იდენტიფიცირება და მისი გადაწყვეტის გზების გამოხატვა



პრობლემის ზოგადი ბუნება

ზოგადად პრობლემის ბუნება უარყოფითია. პრობლემა ყველაფერი ის რაც გვაწუხებს, დისკომფორტს გვიქმნის, ხელს გვიშლის, გვაბრკოლებს და არ გვაძლევს საშუალებას ვიცხოვროთ ისე როგორც ჩვენ მოგვწონს და გვინდა.

პრობლემების სპექტრი მრავალფეროვანია. მაგალითად, პრობლემა ავადმყოფობა, გაფუჭებული გზა, უფულობა, შარბანი მეზობელი, უშუქობა, სარწყავი წყლის არქონა, უსაქმური შვილი, ცუდი ამინდი, ექვიანი ქმარი ან ცოლი, უმუშევრობა და ასე შემდეგ.

დიდი ანალიზი და მიხედვითობა არ ჭირდება იმას, რომ დაინახოთ პრობლემის სუბიექტური ხასიათი. ხშირ შემთხვევაში ის რაც მანუხებს მე, ჩემს ოჯახს, ჩემს უბანს, სოფელს, ქალაქს, ან ქვეყანას სულ არ აწუხებს „გოგის“, მის ოჯახს, ჩვენი სოფლის სხვა უბანს, ჩვენს მეზობელ სოფელს ან ქალაქს ან სხვა ქვეყანას. მაგალითად, თუ მე გრიბი მაქვს და თავს ცუდად ვგრძნობ, ამის შესახებ ნამდვილად ვიცით, რომ არ იდარდება „გოგია“ რომელიც მეზობელ სოფელში ცხოვრობს და საერთოდ არ გვიცნობს. ან თუ ჩვენი სოფლის გაზა გაფუჭებულია ეს სულ არ შეაწუხებს ქვეყნის სხვა რეგიონის მაცხოვრებლებს და შეიძლება მეზობელი სოფლის მოსახლეობასაც კი, თუ მათი მარშრუტი ჩვენს სოფელზე არ გადის.

თუმცა არსებობს პრობლემები რომლებიც საერთოა ადამიანების დიდი თუ პატარა ჯგუფებისათვის. მაგალითად, თუ სოფელს არ აქვს სასმელი წყალი ეს ფაქტი მთელ სოფელს თანაბრად აწუხებს, თუ დაზიანდა ხიდი ეს ყველა იმ დასახლებული პუნქტის მაცხოვრებელს შეაწუხებს, რომლებსაც ეს ხიდი აკავშირებდა და ასე

შემდეგ.

საჯარო და კერძო პრობლემები

პრობლემები თავისი ხასიათის მიხედვით იყოფა საჯარო და კერძო პრობლემად. საჯაროა ძირითადად ის პრობლემები, რომლებიც ცალკეული პიროვნების ძალეებით ვერ წყდება და რომლის გადაწყვეტაშიც აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა (იქნება ეს ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლება). მაგალითად, „გოგის“ თუ გრიბი აქვს ეს გოგისა და მისი ოჯახის პრობლემა და მათი ძალისხმევით უნდა მოგვარდეს, თუ მის ვენახში ყურძენს ნაცარი გაუჩნდა ესეც ამ ოჯახის პრობლემაა. მაშინ როცა თუ გოგის სოფელში გზა გაფუჭებულია, რომლითაც გოგია სხვა თანასოფლელებთან ერთად სარგებლობს, მაშინ ეს უკვე საჯარო პრობლემაა და საჯარო ძალისხმევით უნდა გადაწყდეს (ამ შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლების ჩარევით).

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო პრობლემა საჯარო ფინანსებით და რესურსებით წყდება. ანუ, პრობლემის გადაწყვეტის დაფინანსება ხდება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

საჯარო პრობლემის გადაწყვეტის პროცესი
პრობლემის დადგენა. საჯარო პრობლემის გადაწყვეტის პროცესი მისი დადგენა-იდენტიფიცირებით იწყება. მარტივად, რომ ვთქვათ, პირველ ეტაპზე პრობლემამ უნდა შეაწუხოს ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, ამ ადამიანებმა უნდა გაცნობიერონ ეს პრობლემა და წინა პლანზე წამოიწიონ ის. როგორც წესი ამ ეტაპზე იწყე-

ბა ინფორმაციის გაცვლა ადამიანებს შორის, საუბარი საკითხის გარშემო, გადაწყვეტის საშუალებების ძებნა. კომპეტენტურ პირების ან ორგანოების დადგენა და მათთან პირველადი კომუნიკაცია.

პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენება. პრობლემის გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი ეტაპია მისი პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენება, ანუ შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების მიერ პრობლემის აღიარება და მისი საკუთარ სამუშაო გეგმაში ჩასმა. ბუნებრივია, რომ ეს არის უმნიშვნელოვანესი საწყისი ეტაპი, რომლის გარეშეც საჯარო პრობლემა არასოდეს არ გადაწყდება. ჩვენს გარშემო უამრავ პრობლემას ვხედავთ, რომელიც დადგენილია, გვანუხებს, არაერთხელ ყოფილა საუბრები ამ პრობლემის გარშემო უბანში, სოფელში, შესაბამის ორგანოებში, მედიასაც არაერთხელ გაუშუქებია, მაგრამ პრობლემა არ გადაწყვეტილა, რადგან იგი არ იქნა აღიარებული იმ ორგანოების მიერ რომელთაც მისი გადაწყვეტა ევალებათ. ამდენად პრობლემის აღიარება და დღის წესრიგში დაყენება მისი გადაწყვეტის აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი პირობაა.

გადაწყვეტის გზების გამოხატვა და პოლიტიკის ფორმირება. მას შემდეგ რაც საკითხი დგება ხელისუფლების პოლიტიკურ დღის წესრიგში იწყება მისი გადაწყვეტის გზების ძიება. ამ ეტაპზე იწყება პრობლემის ზუსტი განსაზღვრა, მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა და შემდგომში გადაწყვეტის გზების განსაზღვრა. როგორც წესი პრობლემის გადაწყვეტას რამოდენიმე გზა აქვს. ხდება მათი შეფასება და ყველაზე ეფექტური გზის შერჩევა. (რაზეც საუბარი ცოტა მოგვიანებით

გვექნება).

პროგრამული უზრუნველყოფა. მას შემდეგ რაც შერჩეულია პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტური გზა, მუშავდება ამ გზის ცხოვრებაში რეალიზაციის პროგრამა. ანუ განიერება განსახორციელებელი საქმიანობები, განისაზღვრება მათი შესრულების ვადები, ღირებულება, მოხდება შესაბამისი სახსრების ბიუჯეტში ასახვა და განისაზღვრება ის სამსახურები და პირები ვინც პასუხისმგებელი იქნება ამ ყველაფრის განხორციელებაზე.

ქმედებათა განხორციელება. პრობლემის გადაწყვეტის შემდეგი საფეხურია კონკრეტული ქმედებების განხორციელება. მაგალითად, გზის მოასფალტება, სასმელი წყლის მიღების გაყვანა, სარწყავი არხების მშენებლობა და ასე შემდეგ.

შეფასება. პრობლემის გადაწყვეტის ბოლო საფეხურია უკვე განხორციელებული ღონისძიებების შეფასება და იმის დადგენა, თუ რამდენად ეფექტურად გადაწყდა პრობლემა. მაგალითად, თუ მოხდა სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია, შეფასდება ხელმისაწვდომია და საკმარისია თუ არა წყალი ყველა მაცხოვრებლისათვის, რამდენია წყლის დეფიციტი, რამდენად მდგრადი არხები და ა.შ.

მოსახლეობის ჩართულობა პრობლემის გადაწყვეტის პროცესში

მოსახლეობის ჩართულობა პრობლემის გადაწყვეტის ზემოთ აღწერილ პროცესის თითქმის ყველა ეტაპზე მეტ-ნაკლებად შესაძლებელი და ეფექტური.

პრობლემის დადგენა. ბუნებრივია, რომ პრობლემას პირველები ის ადამიანები აფიქსირებენ ვინც უშუალოდ აწყდება იმას. მაგალითად, თუ სოფელს, უბანს, შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება ამას პირველ რიგში ამ სოფლის თუ უბნის მოსახლეობა აფიქსირებს. თუ „გოგის“ სახლში შუქი ჩაქრა, ის პირველი ემოციების შემდეგ იწყებს იმის გარკვევას ეს მართო მასთან მოხდა თუ მეზობლებთანაც. თუ ეს მხოლოდ მის სახლში მოხდა მაშინ ეს მისი კერძო პრობლემაა და გოგია არკვევს მიზეზებს და იწყებს მათი გამოსწორებას. თუ შუქი მეზობელსაც არა აქვს იცვლება ინფორმაცია, იწყება გამომწვევი მიზეზების ძიება და შემდგომ, ბუნებრივია იწყება კომუნიკაცია იმ ორგანოებთან/ორგანიზაციებთან ვის კომპეტენციამაც არის ეს საკითხი. ასე რომ პრობლემის დადგენასა და მის პირველად კომუნიკაციაში მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს.

პოლიტიკურ დღის წესრიგში

დაყენება. პირველადი კომუნიკაცია თვითმმართველობის ორგანოებთან ცალსახად არ ნიშნავს საკითხის პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენებას. როგორც წესი ინფორმაციის პირველადი მიწოდებიდან საკითხის პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენებამდე საკმაოდ დრო გაივლის. დროს ამ მონაკვეთის სიდიდე და საკითხის პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენება დიდად არის დამოკიდებული მოსახლეობის აქტიურობაზე. როგორც წესი, რაც უფრო აქტიური და თანმიმდევრულია მოსახლეობა მით უფრო მეტი შანსია იმისა, რომ პრობლემა უფრო სწრაფად დადგება დღის წესრიგში და უფრო სწრაფად გადაწყდება. ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია მოქალაქეებს ქონდეთ სათანადო ინფორმაცია და უნარჩვევები თუ რა ფორმალური თუ არაფორმალური მექანიზმები და მეთოდები გამოიყენონ თვითმმართველობასთან ურთიერთობისათვის (ინფორმაცია კომპეტენციების, მონაწილეობის მექანიზმების შესახებ, უნარჩვევები - მობილიზაცია, ადვოკატირება და ა. შ.).

გადაწყვეტის გზების გამოხატვა და პოლიტიკის ფორმირება. პრობლემის გადაწყვეტის გზების გამოხატვა და პოლიტიკის ფორმირება ძირითადად თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციაა. თუმცა ამ ეტაპზე მოქალაქეთა ჩართულობა შეიძლება ორი კუთხით განვიხილოთ:

მოქალაქეებს შეუძლიათ თვითმმართველობას შესთავაზონ გადაწყვეტის დასაბუთებული და ყველაზე ეფექტური გზები, რაც დააჩქარებს პრობლემის გადაწყვეტის პროცესს; მოქალაქეები თვალყურს ადევნებენ, რომ პრობლემა ეფექტურად და სწრაფად გადაწყდეს.

პროგრამული უზრუნველყოფა. ამ ეტაპზეც მოქალაქეთა ჩართულობა ძირითადად სამოქალაქო მონიტორინგით შემოიფარგლება. კერძოდ, მოქალაქეები აკონტროლებენ შემუშავდა თუ არა საკითხის გადაწყვეტის გეგმა და მოხვდა თუ არა მათთვის საინტერესო საკითხი ბიუჯეტში.

ქმედებათა განხორციელება. აქაც საზოგადოების მონაწილეობა ძირითადად განხორციელებული საქმიანობის და ბიუჯეტის ხარჯვის მონიტორინგით შემოიფარგლება.

შეფასება. შეფასების ეტაპი, როგორც წესი ხშირად ამოვარდნილია პრობლემათა გადაწყვეტის ჯაჭვიდან. ამდენად აქ მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობის აქტიურობა შეფასებას თუ რამდენად კარგად გადაწყდა პრობლემა და მოახდინოს ამის კომუ-

პრობლემის იდენტიფიცირება და მისი გადაწყვეტის გზების გამოხატვა

ნიკაცია თვითმმართველობის შესაბამის ორგანიზაციას.

პრობლემის გადაწყვეტის რაციონალური ტექნიკა

პრობლემათა ჯაჭვი. პრობლემების გადაწყვეტის პროცესში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პრობლემის და მისი გამოწვევები მიზეზების სწორ იდენტიფიცირებას. რაც საშუალებას გვაძლევს თვალნათლივ დაინახოთ პრობლემის სრული მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი და სწორად მოვინახოთ ის ფაქტი/მოვლენა რომელზე ზემოქმედებაც მოგვცემს ყველაზე ეფექტურ შედეგს და ყველაზე იაფი დაგვიჯდება. ზოგადად სამყაროში და კერძოდ საზოგადოებაში ფაქტები და მოვლენები ურთიერთგანპირობებული და ურთიერთდაკავშირებულია. მაგალითად, ავილოთ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში დედამიწაზე მაცხოვრების, კონდიციონერების და დეზოდორანტების მოხმარების მკვეთრი ზრდა, ერთის მხრივ და სიმსივნური დაავადებების ზრდა მეორეს მხრივ. ერთი შეხედვით ამ ორ ფაქტს შორის არანაირი კავშირი არ არსებობს. თუმცა უფრო ღრმა ანალიზი გვაჩვენებს, რომ პირველი მეორის ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა ფაქტორია. სიმსივნური დაავადებების ზრდა, ერთ-ერთი გლობალური პრობლემაა, რომლის გადაწყვეტაზეც კაცობრიობა მუშაობს. აღმოჩნდა, რომ ზრდის ერთ-ერთი ფაქტორია დედამიწაზე ულტრაიისფერი სხივების ინტენსივობის გაზრდა. ეს უკანასკნელი გამოიწვია ოზონის შრის დარღვევამ, რომელიც დედამიწას გარს აკრავს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ოზონის ზრდის გაჩენა გამოიწვია ატმოსფეროში ფრენის ტიპის გაზების გაფრქვევის ზრდამ. ეს გაზები კი ინტენსიურად გამოიყენება სწორედ მაცხოვრების, კონდიციონერების და დეზოდორანტების წარმოების პროცესში.

სიმსივნური დაავადებების ზრდა არა მხოლოდ ერთი ქვეყნის საჯარო პრობლემაა, არამედ გლობალური პრობლემათა კატეგორიას განეკუთვნება და შესაბამისად ქვეყნების თანამშრომლობის ფონზე უნდა გადაწყდეს. გადაწყვეტის გზების ძიებას კია ამ მიზეზშედეგობრივ ჯაჭვთან მიყვავართ, რომელიც ცალსახად მიგვიჩვენებს იმ რგოლზე, რომელზე ზემოქმედებაც საშუალებას მოგვცემს გადავწყვიტოთ ეს პრობლემა (ამ ტიპის გაზების მოხმარების შემცირება, ანუ ტექნოლოგიური ცვლილებები ჩამოთვლილი პროდუქტების წარმოებაში). ახლა განვიხილოთ, უფრო მარტივი მაგალითი, რომელიც ჩვენი რეალობიდან არის. გურის ერთ-ერთ სოფელს სასმელი წყალი არ მიეწოდება. პრობლემის ანალიზისას აღმოჩნდა, რომ ეს ფაქტი გამოწვეულია წყალშემკრებიდან წყლის მიწოდების შეფერხებით. რაც თავის მხრივ გამოწვეულია იმით, რომ წყალშემკრებიდან გამოშვებული მიწები იჭედება ფოთლებით, ვინაიდან წყალშემკრები ღიაა. როდესაც პრობლემის ასეთი დეტალური ანალიზი კეთდება გაცილებით მარტივდება მისი გადაწყვეტის ოპტიმალური გზების გამოხატვა.

ინფორმაციის შიგნითაა პრობლემის გადაწყვეტა

პრობლემის გადაწყვეტის მეორე ეტაპზე აუცილებელია შევარგოთ სრული ინფორმაცია მის შესახებ. ინფორმაცია მრავალი მიზნისათვის გვჭირდება. ეს არის პროცესი, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის ყველა საფეხურს გასდევს. თუმცა პირობითად ის განიხილება მეორე საფეხურად, როდესაც ხდება ინფორმაციის ძირითადი მასის შეგროვება. ინფორმაცია გვჭირდება პრობლემის სიმწვაის, მისი გამოწვევები მიზეზების, გადაწყვეტის გზების და მათი რეალიზაციის მოსალოდნელი შედეგების შესახებ. მაგალითად, თუ ვმუშაობთ უგზოების

პრობლემაზე რომელიმე კონკრეტულ დასახლებულ პუნქტებს შორის, გვჭირდება ინფორმაცია თუ რა ტიპის გზა არსებობს ამჟამად, რა მდგომარეობაშია ის, გზის რა მანძილია ძნელად სავალი, შესაძლებელია თუ არა გზის საფარის აღდგენა, თუ ახალი საფარია დასაგები, რა ჯდება ერთი კილომეტრის აღდგენა, როგორია ტრანსპორტის ინტენსივობა ამ გზაზე, რა ტიპის ტრანსპორტი დადის, რა სიგანე უნდა ქონდეს გზას, საჭიროა თუ არა წყალამრედიები და ასე შემდეგ.

პრობლემის გადაწყვეტის გზების გამოხატვა

როგორც წესი, პრობლემას გადაწყვეტის რამდენიმე ალტერნატივა(გზა) აქვს. პრობლემის სპეციფიკიდან გამომდინარე ამ ალტერნატივების რაოდენობა შეიძლება მერყეობდეს ორიდან და ზემოთ. ზედა ზღვრის ზუსტი დასახელება რა თქმა უნდა შეუძლებელია, თუმცა ის უსასრულო არ არის. როგორც პრაქტიკა აჩვენებს ეს ციფრი მერყეობს 2-4 შორის. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემას შეიძლება ქონდეს მხოლოდ ერთი გადაწყვეტა, ან 4-ზე მეტი ან საერთოდ შეუძლებელი იყოს მისი მოგვარება მოცემულ დროსა და რეალობაში. დაეუბრუნდეთ ზემოთმოყვანილ სასმელი წყლის პრობლემას. ცხადია, რომ მისი გადაწყვეტის პირველი ნაბიჯი გაჭედული მიწების გასუფთავებაა. თუმცა ეს პრობლემის გადასაწყვეტად საკმარისი არ არის, ვინაიდან წყალშემკრები გარკვეული პერიოდის შემდგომ ისევ დაბინძურდება და პრობლემა ისევ იჩენს თავს. აქ უკვე პრობლემის გადაწყვეტის ორი გამოკვეთილი ალტერნატივა გვაქვს. პირველი, გადავხურთ წყალშემკრები და თავიდან ავიცილოთ მისი შემდგომი დაბინძურება, ან მეორე, პერიოდულად დავასუფთავებთ ის და თავიდან ავიცილოთ მიწების შემდგომი გაჭედვა ფოთლებით. ამ ორი ალტერნატივიდან რომელია უკეთესი შემდგომმა ანალიზმა უნდა გვაჩვენოს.

პრობლემის გადაწყვეტის გზის შუასაბაზა

იმისათვის, რომ შევავსოთ პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატივის(გზის) ეფექტიანობა და ეფექტურობა აუცილებელია რაღაცა სტანდარტებით გავზომოთ ყველა ის შედეგი, რაც მოყვება ამა თუ იმ ალტერნატივის განხორციელებას. ამ სტანდარტებს პოლიტიკის ანალიზის თეორიაში კრი-



ვენლოვანი კრიტერიუმების პაკეტს. ზემოთმოყვანილი მაგალითში შეფასებისათვის გამოვიყენებთ ძირითადად სამ კრიტერიუმს:

მდგრადობა — ანუ რამდენად სტაბილური იქნება წყლის მიწოდების სისტემა;

საინვესტიციო დანახარჯები — ანუ ერთჯერადი დანახარჯები, რომლებიც საჭიროა წყალმომარაგების სისტემის მოსახერხებლად;

მიმდინარე დანახარჯები — ანუ განმეორებადი დანახარჯები დროის რაღაც მონაკვეთში, რომლებიც საჭიროა წყალმომარაგების სისტემის ფუნქციონირების შესანარჩუნებლად.

შედეგების პროგნოზირება. მას შემდეგ რაც განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმები იწყება შედეგების პროგნოზირების პროცესი. პრობლემის გადაწყვეტის ყველა გზას თავისი შედეგები მოსდევს. ზოგ შემთხვევაში ეს შედეგები დადებითან ერთად უარყოფითიც შეიძლება იყოს. ჩვენ ამოცანაა მაქსიმალური სიზუსტით გავთვავოთ რა კონკრეტული შედეგი მოყვება ჩვენს მიერ განხორციელებულ ქმედებებს. შედეგების პროგნოზირება ხდება თითოეული კრიტერიუმის მიხედვით. საქმეს ძალიან აშარტივებს მატრიცის(ცხრილის) გამოყენება. ისევ ჩვენს მაგალითს რომ დაეუბრუნდეთ, ცხრილს ასეთი სახე ექნება (იხ. ცხრილი):

	ალტერნატივა/კრიტერიუმი	მდგრადობა	საინვესტიციო დანახარჯი	მიმდინარე დანახარჯი წელიწადში
1	წყალშემკრების გადახურვა	მდგრადი	3000	0
2	ფოთლებისაგან პერიოდული განმეორებადი	არამდგრადია	0	1000

ტერიუმებს უწოდებენ. ასეთი კრიტერიუმებია, მაგალითად, ღირებულება, პრობლემის გადაწყვეტის დრო, მიწოდებული წყლის დეპეტი(რაოდენობა), აცრილი მოსახლეობის რაოდენობა და ა.შ. ბუნებრივია, რომ ყოველ პრობლემას თავისი სპეციფიკური კრიტერიუმები აქვს. მაგალითად, მიწოდებული წყლის დეპეტი(რაოდენობა) ვაფასებთ მოსახლეობაში სასმელი წყლის დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტის გზებს, აცრილი მოსახლეობის რაოდენობით ყვიანახველის უპიდეშიის საშიშროების პრობლემის, მოსაფალტებული გზის სიგრძით — უგზოების პრობლემას და ა. შ. თუმცა არის კრიტერიუმები, რომლებიც ხშირად გამოიყენება განსხვავებულ სიტუაციებშიც კი. მაგალითად, ღირებულება, კანონიერება, დრო და ა.შ. გადაწყვეტის გზის შეფასებისას ვიყენებთ ყველა მნიშ-

ვრებულ შედეგებს. მაშ ასე, თუ გადავხურთ წყალშემკრები, რამდენად მდგრადი იქნება წყლის მიწოდების სისტემა სოფელში? ბუნებრივია, რომ ის მდგრადი იქნება, რადგან წყალშემკრებში აღარ ჩაქვივა ფოთლები და სხვა დამაბინძურებლები, აღარ გაიჭედება მიწები და წყალი უწყვეტად მიეწოდება სოფელს. ამდენად კრიტერიუმის და ალტერნატივს გადავკეთებ ვნერთ — „მდგრადი“. რა შედეგი გვექნება ამ კრიტერიუმის მიხედვით თუ ავირჩევთ მეორე ალტერნატივას? წყალშემკრები ღიაა, იგი ყოველი გასუფთავების შემდეგ საჭიროებს განმეორებად და მუდმივ ყურადღებას. წყალი სოფელს შეფერხებით მიეწოდება. ბუნებრივია, რომ ასეთი სისტემა არამდგრადია. ახლა ვნახოთ რა საინვესტიციო ხარჯი დაგვჭირდება თითოეული ალტერნატივისათვის. გადახურვის შემთხვევაში ეს ხარჯი საკმაოდ დიდია. ბუნებრივია ახლა ჩვენ ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ მის ოდენობას, რადგან არ გვაქვს ზუსტი ინფორმაცია წყალშემკრების ზომები, შესაბამისი კონსტრუქციისათვის საჭირო მასალები, მათი ღირებულება და ა.შ.) პირობითად დავუშვათ, რომ ის 3000 ლარი დაჯდება (ბუნებრივია, რომ კონკრეტული პრობლემის კონკრეტულ სიტუაციაში გადაწყვეტისას ასეთ დაშვებებს არ ვაკეთებთ და ზუსტ გათვლებს ვახორციელებთ). რა იქნება საინვესტიციო დანახარჯი განმეორ-

დას ის მიმდინარე ხარჯებს მიეკუთვნება. ამ შემთხვევაშიც ინფორმაციის უქონლობის გამო საგარაუდო დაშვება უნდა გავაკეთოთ. ვთვათ, რომ წყალშემკრებს წელიწადში 4 ჯერ დაჭირდება განმეორება და თითოეული განმეორება დაჯდება 250 ლარი. ე.ი. მიმდინარე წლიური დანახარჯი მეორე ალტერნატივისათვის შეადგენს 1000 ლარს. რა იქნება მიმდინარე დანახარჯი პირველი ალტერნატივისათვის? წყალშემკრები გადახურულია, მას არ ჭირდება განმეორება ამდენად მისი წლიური მიმდინარე დანახარჯი პრაქტიკულად წულის ტოლია.

ცხრილი შეივსო, ამდენად შედეგების პროგნოზირების ეტაპი დამთავრდა.

პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალური გზის შერჩევა

ალტერნატივების მოსალოდნელი შედეგების შეფასების შემდეგ უნდა გადაწყვიტოთ რომელი ალტერნატივა უფრო უკეთესია. როგორც წესი ალტერნატივის შედეგები განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზოგი ალტერნატივა უფრო კარგად წყვეტს მოცემულ პრობლემას, მაგრამ უფრო ძვირი ჯდება, ან თანამედ უარყოფითი შედეგები მოყვება. ამიტომ ამ ეტაპზე გვინდა არჩევანის გაკეთება - რაღაცის დათმობა, რაღაცის ხარჯზე. კიდევ ერთხელ შევხედოთ ცხრილს. ვხედავთ, რომ პირველი ალტერნატივა უკეთ წყვეტს პრობლემას, აღარ ჭირდება ყოველწლიური დანახარჯი, მაგრამ საჭიროა საკმაოდ დიდი ერთჯერადი დანახარჯი. მეორე ალტერნატივა ეფექტურად ვერ წყვეტს პრობლემას, ჭირდება ყოველწლიური ხარჯი მაგრამ არ ჭირდება არანაირი ინვესტირება. რომელი გზა ჯობია? ასეთ მოცემულობაში, ლოგიკურია ერთხელ დავხარჯოთ 3000 ლარი და პრობლემა გრძელვადიანად გადავჭრაო, ვიდრე ყოველწელს ვხარჯოთ 1000 ლარი და წყალი მინც შეფერხებით მიეწოდებოდეს სოფელს. თუმცა რეალურ ცხოვრებაში ასე შეიძლება ყოველთვის არ მოხერხდეს და იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ერთჯერადად 3000 ლარი არ გვაქვს, მოგვინოს მეორე ალტერნატივის არჩევა. რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო ძვირი დაჯდება.

გამოიცა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის ფინანსური დახმარებით; საგანგებო ჩანართში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს, მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის ოფიციალურ პოზიციას